

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი



ბოლნისის
მუნიციპალიტეტის
მერმა 2022 წელი
შეაჯამა

გვ:2,3,4



ავსტრიის
რესპუბლიკის ელჩის
ვიზიტი ბოლნისის
მუნიციპალიტეტში

გვ:5



სოციალური დახმარების
გაცემის წესი სვლილეები
შევიდა

გვ:5

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა 2022 წელი შეაჯამა



ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზაძემ შერაზაძემ ტრადიციულად, საკრებულოს დეპუტატებს, არასამთავრობო სექტორს და მოწვეულ საზოგადოებას, 2022 წლის საქმიანობის ანგარიში დეტალურად წარუდგინა...

ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის 2022 წელი არაერთი მიმართულებით აღმოჩნდა წარმატებული. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 2022 წელს 10 299 398 ლარის ღირებულების 93 ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ...

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა

2022 წელს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 4,72 კილომეტრი გზა მოეწყო. ბეტონის საფარი დაიგო სოფელ ქვემო არქევიდან სოფელ ხატავეთისკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე...



ქვავაძის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები. 6 ობიექტზე, ჯამში 17 417 მეტრ კვადრატულ მოცულობაზე ასფალტის საფარი დაიგება. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება...

ამ ეტაპზე ქალაქ ბოლნისში ხორციელდება ბოლნისის წყალარინების სისტემის მშენებლობის პროექტი, რომელიც გარკვეული დროით შეჩერებული იყო. საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პირველ ეტაპზე სამუშაოები სიონის, ქვავაძისა და სოხუმის ქუჩებიდან დაიწყო...

საკანალიზაციო ქსელის მოწყობას კონტრაქტორი კომპანია წლის ბოლომდე დაასრულებს და ამ პროექტის განხორციელება ჩვენ საშუალებას მოგვცემს ქალაქ ბოლნისში გზების პრობლემა მთლიანად აღმოვეფხვროთ...

მარნეულის წყლისა და წყალარინების, ბოლნისის წყალარინების სისტემების პროექტი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და ამ სამუშაოებს ჯამში 47 003 251 აშშ დოლარი მოხმარდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შემუშავებული „განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის, გარკვეულ მონაკვეთზე მდებარე შენობების ფასადის ქვა-ბაზის მასალით შეფუთვა განხორციელდა...

სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას მივიღებთ, რაც ჩვენს ქალაქში ტურიზმის განვითარებას ხელს უდავოდ შეუწყობს.

ბოლნისი

2022 წელს თეთრიწყარო - ბოლნისის დამაკავშირებელი 6 კილომეტრიანი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. სარეაბილიტაციო მონაკვეთი მდებარეობს თეთრიწყაროსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების, ტოფანი-დაღეთის გზის ტერიტორიაზე...

სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია

2022 წელს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ქალაქ ბოლნისისა და მიმდებარე სოფლების 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად ჯამურად 85 000 000 ლარზე მეტი ღირებულების პროექტების განხორციელება დაიწყო.

ამ ეტაპზე, როგორც აღვნიშნეთ ქ. ბოლნისში, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, აქტიურად გრძელდება წყალარინების სისტემის მშენებლობა. ასევე, ბოლნისის მუნიციპალიტეტში წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, რამდენიმე დაანონსებული პროექტი განხორციელდება.

მათ შორის, 2022 წელს დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს ბოლნისის „ყარაბულახის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, მაგისტრალური მილის, წყალსადენი ქსელის, სატუმბო სადგურის მოწყობა. ასევე, არსებული რეზერვუარების რეაბილიტაცია.

სარწყავი სისტემების მოწყობა

2022 წელს ნახიდურის მაგისტრალური არხების რეაბილიტაციის პირველი ეტაპი განხორციელდა. სამუშაოების სრულად დასრულების შემდგომ, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბალახაური, ხიდისყური და ნახიდური 810 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება. პროექტის ღირებულება 2 627 500 ლარს შეადგენს და მისი მეორე ეტაპი 2023 წელს დაიწყება...

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში, დაბა კაზრეთსა და დაბა თამარისში, 2022 წელს 976 360 ლარის ღირებულების 53 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. პროექტების ძირითადი მიმართულება წყლის სისტემების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების, საკანალიზაციო სისტემებისა და სპორტული სივრცეების მოწყობას მოიცავდა.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

ბოლნისის მუნიციპალიტეტი სოციალური პროგრამებით უდავოდ გამოირჩევა, ამას როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დარგის სპეციალისტებიც აღნიშნავენ. ადგილობრივი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისთვის საჭირო სერვისები შემუშაოს. სოციალური პროგრამების დახვეწა კი ყოველწლიურად ხდება, ეს კი, ვფიქრობ, მის ეფექტურობასაც განაპირობებს...

ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით 152-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 157 321 ლარი გამოიყო. 323 შშმ პირის დახმარებებს 481 210 ლარი მოხმარდა, სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიური კვების უზრუნველყოფისთვის კი 28 862 ლარი დაიხარჯა.

2022 წელს, სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის სეზონზე მატერიალური დახმარებით მერიამ 606 ბენეფიციარი უზრუნველყო, რისთვისაც 121 200 ლარი დაიხარჯა. ბინის ქირის გადასახადი 2022 წელს 25 ბენეფიციარს დაუფინანსდა, რამაც ჯამში 37 000 ლარი შეადგინა. სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები 38 ოჯახისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფას კი 35 693 ლარი მოხმარდა.

სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამით, 2022 წელს, 1 770-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 1 129 034 ლარი დაიხარჯა. ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა დახმარებას 14 500 ლარი მოხმარდა. ერთჯერადი მატერიალური დახმარებებით კი 1 315 ბენეფიციარმა ისარგებლა, ამ პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს, 260 000 ლარი დავხარჯეთ. 2022 წელს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას 621 029 ლარი მოხმარდა.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დაზიანებული სახურავების შეცვლა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად სოციალურად დაუცველ და მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებს სახლის დაზიანებულ სახურავს უცვლის. 2022 წელს ამ პროგრამით, 15-მა სოციალურად დაუცველმა ოჯახმა ისარგებლა. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახლის სახურავის შეცვლის სამუშაოებისთვის 2022 წელს მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 255 904 ლარი გამოიყო. აღსანიშნავია, რომ 2016-2022 წლებში, საერთო ჯამში, ბოლნისის მუნიციპალიტეტმა დაზიანებული სახლის სახურავი სოციალურად დაუცველ 314 ოჯახს შეუცვალა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 3 300 410 ლარი დაიხარჯა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობა

კორონა ვირუსის პანდემიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერა 2022 წელი შეჯამა

საზოგადოებრივ ჯანდაცვას. სწორედ ამიტომ, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, „ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შენობას 2022 წელს სრული რეაბილიტაცია ჩატარდა.

ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, შეიქმნა სახურავი, რეაბილიტირდა გარე ფასადი, შიდა სივრცე და საკანალიზაციო სისტემა, მოწყობა ცენტრალური გათბობის ქსელი. ახლა უკვე ცენტრი, სტანდარტებთან შესაბამის, თანამედროვე შენობაში აგრძელებს ფუნქციონირებას.

უკრაინელი ხალხისთვის განუვლი დახმარება

უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებულმა ომმა თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებით დაგვაძნეობდა. ჩვენ სოლიდარობას გამოვხატავთ უკრაინელი ხალხის, ჩვენი დიდი ხნის მეგობარი ერის მიმართ. საქართველოს მთავრობის, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის დახმარებით, ბოლნისელი მოქალაქეების სახელით, უკრაინელებს ჰუმანიტარული დახმარება გავუგზავნეთ.

უკრაინელებისთვის ჰუმანიტარული დახმარების შესაძენად მუნიციპალიტეტმა სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოყო, მერიის შენობაში კი სპეციალური შტაბი შეიქმნა. გარდა ამისა, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად ბოლნისში მყოფი უკრაინელი ოჯახები ბინის ქირითაც უზრუნველყავით. მჭერა, რომ უკრაინა შეძლებს ამ ომში გამარჯვებას და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

საძმო სასაფლაოს მოწყობა

2021 წელს, შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ძალისხმევით, 1992-1993 წლებში აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაღუპული ბოლნისელი მეზრდოების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის მფლობელი სამხედრო, ლევან მემანიშვილის ნეშტის იდენტიფიცირება გახდა შესაძლებელი. დაღუპული მეომრის ოჯახის სურვილის შესაბამისად, ლევან მემანიშვილის ნეშტი მის მშობლიურ ქალაქ ბოლნისში, სამხედრო პატივით დაიკრძალა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, იმ ადგილას, სადაც ლევან მემანიშვილია დაკრძალული, ძმათა სასაფლაო მოეწყო. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 240 757 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ძმათა სასაფლაოზე მემორიალის მოწყობაც იგეგმება. მემორიალის პროექტი კონკურსის წესით შეირჩევა.

პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტირება - დაგეგმე შენი ბიუჯეტი“

2022 წელს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ პირველად დაიწყო პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტირება - დაგეგმე შენი ბიუჯეტი“, რაც მოქალაქეების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებას გულისხმობს.

პროექტის ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში მოქალაქეთა ინიციატივებისთვის 1 500 000 ლარი იქნება გათვალისწინებული. პროექტის პირველ ეტაპზე ჩვენს მოქალაქეებს შეეძლოთ მოეწოდებინათ თავიანთი პროექტები 300 000 ლარის ბიუჯეტის ფარგლებში. შემოსული პროექტები სპეციალურმა კომისიამ განიხილა და კენჭისყრის ეტაპზე ჯამში 24 იდეა გადავიდა.

ხმის მიცემის შედეგად გამოვლინდა 5 გამარჯვებული. სამი პროექტი სოფლად განხორციელდება, 2 კი ქალაქში. ვულოცავ გამარჯვებულ პროექტების ავტორებს ამ წარმატებას, თითოეული იდეის ავტორს კი პროექტში მონაწილეობისთვის დიდ მადლობას ვუხდით. მოხარული ვარ, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა იაქტიურეს და მათთვის სასურველ პროექტს მხარი აქტიურად დაუჭირეს. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიზანია, ჩვენი მოქალაქეები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში აქტიურად ჩაერთონ. თანამონაწილეობითი კულტურის ამბავების პროცესში კი პროექტს „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

2022 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტი, საქართველოს მასშტაბით, 11 მუნიციპალიტეტს შორის მოხვდა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა განხორციელდება.

ახალი პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებას, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას. პროექტი ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდება და ჯამში 21 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯება. USAID-ს გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისთვის დიდ მადლობას ვუხდით. ვფიქრობ, აღნიშნული პროგრამა დეცენტრალიზაციის პროცესს კიდევ უფრო მეტად ეფექტურს და მოქნილს გახდის.

განათლების ხელშეწყობა

ქვეყნისთვის, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია მომავალ თაობას ხარისხიანი განათლება მიეცეთ. სრულყოფილი განათლების მისაღებად კი საჭიროა ჩვენმა შვილებმა კომფორტულ, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის სკოლებში ისწავლონ. ბოლნისის მუნიციპალიტეტში დღემდე 4 სკოლას ჩატარდა სრული რეაბილიტაცია, მათ შორის 2022 წელს ქალაქ ბოლნისის ისტორიული N1 საჯარო სკოლა საზეიმოდ გახსენით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, სრულად შეიკვალა სახურავი, დაზიანებული კარ-ფანჯარა ჩანაცვლდა უმაღლესი ხარისხის ალუმინის მასალით, მოპირკეთდა საპირფარეშოები, გაფართოვდა და გარემონტდა საკლასო ოთახები. მოსწავლეები უკვე სარგებლობენ დიდი, ნათელი ბიბლიოთეკითა და სასადილო სივრცით. კეთილმოეწყო სპორტდარბაზი, ეზოში კი გაკეთდა მინი სტადიონი. სრული რეაბილიტაციის მიუხედავად,

სკოლას შეუნარჩუნდა ტრადიციული იერსახე.

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის შემდეგ სკოლაში ინკლუზიური გარემო შეიქმნა, შშმ მოსწავლეებისთვის გაკეთდა ლიფტი და პანდუსი. სკოლის რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი წარჩინებული სტუდენტებისთვის ყოველთვის უფასოდ ფულად ნახალისებას. 2022 წლის პირველ ნახევარში ფულადი ნახალისება 95-მა სტუდენტმა მიიღო, მეორე ნახევარში კი 51 სტუდენტი დაფინანსდა. 2022 წელს, წარჩინებული სტუდენტების ყოველთვის უფასოდ ნახალისებისთვის ჯამში 64 900 ლარი დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ მოწყვლადი კატეგორიის 148 სტუდენტის ყოველთვის დაფინანსებებს 2022 წელს 71 320 ლარი მოხმარდა.

ტურიზმის ხელშეწყობა

ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაა, ამიტომ ჩვენ წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნისთვის არაერთი პროექტი გვაქვს განხორციელებული.

2022 წელს სოფელ ხატისოფელში, ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პოპულარულ ტურისტულ ლოკაციამდე, წმინდა გიორგის სახელობის ისტორიულ ტაძრამდე მისასვლელი გზა გავაკეთეთ.

ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, ეკლესიამდე მისასვლელი გზა სრულად მოეწყო. 600 გრძივ მეტრზე ბეტონის საფარი დაიგო, ხოლო 480 გრძივი მეტრი ადგილობრივი ბაზალტით მოპირკეთდა. პროექტის სრულმა ღირებულებამ 640 000 ლარი შეადგინა.

ისტორიული მნიშვნელობის პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

გასულ წელს ასევე ქვეშის ციხესთან საპიკნიკე სივრცის მოწყობის პროექტი დაიწყო, რომელიც წელს დასრულდება.

პანდემიის გამო, ორწლიანი პაუზის შემდეგ, ბოლნისის მუნიციპალიტეტში „ბოლნისქალაქობა 2022“ გრანდიოზულად აღინიშნა. ჩვენი ქალაქის დღესასწაული, რომელიც ტურისტული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, 2022 წელს მრავალფეროვანი პროგრამით გამოირჩეოდა.

„ბოლნისქალაქობა 2022“-ის პროგრამის ფარგლებში, საზეიმო კონცერტში მონაწილეობა მიიღო ეგვენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სიმფონიურმა ორკესტრმა, ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით.

ღონისძიების ფარგლებში, ასევე გაიმართა ბოლნისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია. აღსანიშნავია, რომ სახალხო დღესასწაულს ახლადდანიშნული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში პეტერ ფიშერიც დაესწრო.

გასულ წელს ბოლნისის მუზეუმს ევროპის 2022 წლის მუზეუმის კონკურსში (EMYA 2022) სპეციალური დიპლომი გადაეცა. მუზეუმი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს, ის ასევე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტული ლოკაციაა.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

ადგილობრივი თვითმმართველობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სტიმულირებას. ამ მიმართულების



განვითარების მიზნით, ვცდილობთ საერთაშორისო გრანტებიც აქტიურად მოვიპოვოთ.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მუნიციპალიტეტებს შორის ბოლნისი ერთადერთი მუნიციპალიტეტია, რომელმაც ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ გრანტი მეორედ მიიღო. 250 ათასი ევრო ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვების დიგიტალიზაციაზე, „მწვანე ქალაქის“ კონცეფციასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებაზე, აგროპროდუქციის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის შექმნასა და სხვა აქტივობებზე დაიხარჯება.

პროექტის ფარგლებში, ბოლნისის აგროცენტრში განთავსდება ლაბორატორია, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ სხვადასხვა ანალიზი თაფლის, რძის პროდუქტების, ბოსტნეულის, ყურძნის ხარისხისა და შემადგენლობის შესამოწმებლად. ლაბორატორია მეღვინეებს საშუალებას მისცემს შეამოწმონ ღვინო ალკოჰოლის შემცველობაზე, შაქრიანობაზე,

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა 2022 წელი შეაჯამა

ტიტრირებაზე და აქროლად მუავიანობაზე, უმაქრო ექსტრაქტებზე, მთლიანი და თავისუფალი გოგირდის შემცველობაზე, PH და ა.შ. ეს მნიშვნელოვანი ნივთიერებები გადამდგმული ნაბიჯია, რადგან აგრომენარმები და მეღვინეები ზემოაღნიშნულ ანალიზებს აქამდე აკეთებდნენ თბილისში, რადგან ადგილობრივად არ არსებობდა ლაბორატორია.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში შეიქმნება ვებგვერდიც, რომელზეც განთავსდება ინფორმაცია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის შესახებ. აგრეთვე ინფორმაცია მუნიციპალიტეტისა და მისი ტურისტული ადგილების, ბაზრობებისა და გამოფენების შესახებ.

ბოლნისური ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, უკვე მეორედ მოეწყო ღონისძიება „ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი“. ბოლნისის მუზეუმში ბოლნისური ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია შედგა. ღონისძიებაზე „ქართული ღვინის გილდიის“ მიერ, ოივის საერთაშორისო სტანდარტით შეფასებული 15 ბოლნისური მარნის 38 საუკეთესო ღვინო იყო წარმოდგენილი.

2022 წელს მეღვინეთა გაერთიანება „ღვინო ბოლნისის“ ორგანიზებით, კომპანია „არემტისა“ და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ბოლნისის ახალ მუზეუმში ბოლნისელი მევენახე-მეღვინეების პირველი ფორუმის გაიმართა.

გერმანულ მხარესთან ურთიერთობა

თანამედროვე ქალაქი ბოლნისი შვაბმა კოლონიისტებმა დააარსეს, ამიტომ



ქართულ-გერმანულ მეგობრულ ურთიერთობებში ბოლნისის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. 2022 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის, კულტურისა და მედიის კომიტეტის წარმომადგენლები საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ. გერმანიის პარლამენტის წევრები ბოლნისის მუნიციპალიტეტსაც ესტუმრნენ.

2022 წელს ქალაქ ბოლნისის ისტორიულ ნაწილში მდებარე რეაბილიტირებულ ძველ გერმანულ შენობაში, ქართულ-გერმანული კულტურის ცენტრი ოფიციალურად გაიხსნა. ცენტრი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილ ელჩთან, ჰუბერტ ქნირშთან ერთად გავეხსენით.

შენობა ქართულ-გერმანული თანადაფინანსებით რეაბილიტირდა, სადაც სივრცე დაეთმო ბოლნისის „კულტურის ცენტრს“, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი“ და ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენლობას, რომელიც უქმე დღეებში ბავშვებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას მართავს. აღსანიშნავია, რომ ყოფილი სომხური სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 356 000 ლარი დახარჯა.

კონკურსი „სუფთა რეგიონი 2021“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრები-საქართველოს ორგანიზებით გამოცხადებულ კონკურსში „სუფთა რეგიონი 2021“ ბოლნისის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ გამარჯვებულად დასახელდა. ნომინაციაში „სუფთა, ლამაზი ქუჩა“ გამარჯვება ქალაქ ბოლნისში მდებარე მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩამ მოიპოვა. სპეციალური ჯილდო მუნიციპალიტეტმა გასულ წელს, მაისის თვეში, თბილისის საკრებულოს შენობაში გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე მიიღო.

მწვანე გარემოს შექმნა



ადგილობრივი თვითმმართველობისთვის პრიორიტეტულია მწვანე გარემოს შექმნა. ამ მიმართულებით ჩვენ გამწვანების აქციებს ყოველთვის დიდ ყურადღებას ვუთმობთ. 2022 წელს ასაიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის“ ორგანიზებით, ქალაქ ბოლნისში, ე.წ. „მომავლის ბაღში“ 11 ჯიშის 1050 ძირი ხე დაიარგო. ასევე ბოლნისის კულტურისა და დასვენების ისტორიულ პარკში, გამწვანების აქციის ფარგლებში 100-მდე ნერგი დავრგეთ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ევროპის მდგრადი ენერჯეტიკის კვირეულს ყოველ წელს უერთდება, კვირეულის ფარგლებში, 2022 წელს ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკში კიდევ ერთი გამწვანების აქცია მოვაწყვეთ.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული „განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ბოლნისში, კულტურის სახლის, სამუსიკო სკოლისა და მუნიციპალიტეტის მერიის წინ მდებარე სკვერების გამწვანების მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა. პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე დაიარგო. გამწვანების სამუშაოების მიზანი ქალაქში არსებული სკვერების იერსახის გაუმჯობესებაა.

კულტურის ხელშეწყობა

2022 წელს ბოლნისის თეატრს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. თეატრის იუბილესთან დაკავშირებით, ბოლნისის კულტურის სახლში საზეიმო საღამო გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდა. ღონისძიების დასასრულს კი კულტურის სახლის წინ ბოლნისის თეატრის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა.

2022 წელს ბოლნისის თეატრმა, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მაცურებელს ორი პრემიერა შესთავაზა. ბოლნისის მუნიციპალიტეტი თეატრის გვერდში დგომას კვლავაც გააგრძელებს და შეეცდება დასს განვითარებაში აქტიურად დაეხმაროს.

სპორტის ხელშეწყობა

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს ჩვენს სპორტსმენებს გვერდში დაუდგეს და მხარი დაუჭიროს.

2022 წელს სპორტსმენების ყოველთვიური ფულადი ნახალისებისთვის 97 200 ლარი დაიხარჯა, სპორტსმენთათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდოსთვის კი 30 700 ლარი. ამ პროგრამით 2022 წელს ჯამში 80-მა სპორტსმენმა ისარგებლა.

2022 წელს, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ქალაქ ბოლნისში დაიწყო ახალი, თანამედროვე ტიპის სპორტკომპლექსის მშენებლობა. სპორტკომპლექსში შეიქმნება მულტიფუნქციური სივრცე, რომელიც მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკში არსებულ, ფირუზ რეხვიაშვილის სახელობის მინი სტადიონს 2022 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. არსებულ



სტადიონზე შეიყვალა მინდვრის საფარი, გადაიხურა ტრიბუნები, მოეწყო სველი წერტილი და გასახდელები. ასევე მოიკირწყლა სტადიონამდე მისასვლელი გზა, აღდგა შემოღობვა და შეიყვალა მინდვრის განათება.

მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა, რომლის ღირებულებამ 289 465 ლარი შეადგინა.

მინი სტადიონის გახსნის ღონისძიების ფარგლებში, საფეხბურთო კლუბ „სიონის“ ფეხბურთელებმა, ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის წრის აღსაზრდელებს მასტერკლასი ჩაუტარეს და გამოცდილება გაუზიარეს.

მოხარული ვარ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას 2023 წელს 38 140 000 ლარი მოხმარდება. 2023 წლის ბიუჯეტში მაქსიმალურადაა ასახული მოქალაქეების ინტერესები და საჭიროებები. ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები პრიორიტეტულია, ამიტომ ამ მიმართულებით მომავალი წლის ბიუჯეტში 4 803 140 ლარია გათვალისწინებული. 2023 წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას ვეგმავთ, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის 2023 წელს 6 456 000 ლარი გამოიყო. ვიმედოვნებ, რომ 2023 წელი ბოლნისისთვის არაერთი წარმატების მომტანი იქნება. ჩვენ კი მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის მუშაობას კვლავ აქტიურად გავაგრძელებთ.

„სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში“ ცვლილებები შევიდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში განსაზღვრული პრიორიტეტებისთვის 2023 წელს „სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში“ შემდეგი ცვლილებები შევიდა

კერძოდ:

1. მუხლი 1. ქრონიკული დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები) პროგრამას დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი, რომელიც უზრუნველყოფს შიმოტიპური აშლილობის მქონე ბენეფიციარების შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

2. მუხლი 7. ბინის ქირით უზრუნველყოფა. ბინის ქირა არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად ანაზღაურდება:

ა) სოციალურად დაუცველ უსახლკარო - მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და აღნიშნული ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, გარდა იმ ოჯახებისა, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის წევრი.

ბ) „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მსხვერპლს.

3. მუხლი 10. სამედიცინო უზრუნველყოფის (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები) პროგრამის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი განისაზღვრა: დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის არაავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში 1000(ერთი ათასი) ლარის, ხოლო ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში - 3000(სამი ათასი) ლარის ოდენობით.

პროგრამის მეხუთე პუნქტით - ფარისებრი ჯირკვლით დაავადებულ ბენეფიციართა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისთვის განსაზღვრული თანხა - 2000 ლარი შეიცვალა და განისაზღვრა 3000 ლარის ოდენობით..

4. მუხლი 10. სამედიცინო უზრუნველყოფის (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები) პროგრამის 9 1 პუნქტის - აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაციისათვის წლის განმავლობაში განსაზღვრული თანხა - 5000 ლარი შეიცვალა და განისაზღვრა 7000 ლარით.

5. 1. სტუდენტები ყოველთვიური სტიპენდიით ვერ დაფინანსდებიან ორჯერ ერთი და იმავე სემესტრის აქტიური სტატუსით.

2. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განმავლობაში თუ სტუდენტი მობილობით გადავიდა სხვა სასწავლებელში, ან სხვა ფაკულტეტზე, ან სტუდენტის სტატუსი ჰქონდა შეჩერებული, უმაღლესი სასწავლებლიდან წარმოდგენილ ცნობაში ეს გარემოება უნდა იყოს მითითებული.

5. მუხლი 10. სამედიცინო უზრუნველყოფის (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები) პროგრამას დაემატა მე-10 პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წესით განსაზღვრული პირობების დაცვით რეგისტრირებული იმ მოქალაქეების (ოჯახების), რომლების განცხადებით მომართვის პერიოდში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს სილატაკის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მათი მომართვის პერიოდში მძიმე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არ მიეკუთვნება გაცემის წესის მიხედვით განსაზღვრულ არცერთ კატეგორიას და ესაჭიროება სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება, აგრეთვე იმ მოქალაქეების, რომელზეც განცხადების განხილვის ეტაპისთვის ვრცელდება წესით დაწესებული შეზღუდვები (მაგ: ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული გასაცემი დახმარებები), განცხადებას განიხილავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელია გამოთქვას სახით დახმარება გაცემის ამ პუნქტით განსაზღვრულ პირს, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით (აქედან მედიკამენტური მკურნალობისთვის - არაუმეტეს 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით). მკურნალობის უზრუნველყოფით გათვალისწინებული დახმარებები ბენეფიციარს გაუნევა იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურებას მიიღებს სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში.

6. მუხლი 12. ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის 1 პუნქტს დაემატა „ბ 1“ ქვეპუნქტი, რომელიც უზრუნველყოფს უკიდურესად შეჭირვებული ბავშვებისთვის სასკოლოდ შესაბამისი საჭიროებების შესაძენად მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფას, რომელიც განისაზღვრება 300 ლარის ოდენობით (ერთჯერადად ბავშვისა და ოჯახის (თემის) სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე);

6. მუხლი 13. გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურების

უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მიზნით ყოველ გარდაცვლილის ოჯახზე გასაცემი ერთჯერადი მატერიალური დახმარებით 2500 ლარით უზრუნველყოფა შეიცვალა და დახმარების ოდენობა განისაზღვრა 1000 ლარით.

აქვე მოგახსენებთ, რომ „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებისთვის კანონით დაკისრებული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებს სოციალურ მუშაობას, სოციალური და ჯანდაცვის სამსახური წლის განმავლობაში მართავს არაერთ ქეისს, აღნიშნული ქეისების მიხედვით ახდენს საჭიროებების სილრმისეულ შეფასებას, ადგენს სამოქმედო გეგმას, სილრმისეულად სწავლობს ყველა მდგარ მოცემულობას, რაც აძლევს საშუალებას სწორად და უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას „ქეისებში“ მითითებული საჭიროებები. აქედან გამომდინარე „სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესში“ დაემატა ახალი პროგრამები.

კერძოდ:

1. მუხლი 15. ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა - რომელიც ითვალისწინებს, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ნებისმიერი შესაბამისი ორგანიზაციის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინალური განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახებისათვის იმ საჭიროებების მოგვარებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილებით და აუცილებელია ზემოხსენებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინალური განხილვის საფუძველზე წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვა, გადაწყვეტილების მიღების მიზნით განხორციელდეს ბავშვისა და ოჯახის შეფასების დოკუმენტის განმხილველი/დახმარების გამცემი კომისიის მიერ და გასაცემი თანხის ოდენობა, თითოეულ ქეისზე, განისაზღვრა არაუმეტეს 2 500 ლარის ოდენობით.

2. მუხლი 16. მართხეხელა მშობლის ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა. - რომელიც ითვალისწინებს მართხეხელა მშობლის ყოველთვიურად 70 ლარით უზრუნველყოფას.

საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ბოლნისში ახალი პროექტები განხორციელდება

21 იანვარს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ურთიერთთანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და თვითმმართველი ორგანოს ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ. შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს, რა გამოწვევები და საჭიროებები არსებობს მუნიციპალიტეტში.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა წარმოადგენს 5 წლიან ინიციატივას, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება და მიზნად ისახავს საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერას, ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას. პროგრამა იმუშავებს ადგილობრივი

თვითმმართველობის დონეზე ანგარიშვალდებულების გაძლიერების, ინკლუზიური და მომხმარებელზე ორიენტირებული საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით და დახმარებას გაუწევს ცენტრალური ინსტიტუტის დეცენტრალიზაციისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებას. სამუშაო შეხვედრა ორდღიანია, რის შემდეგაც შეიქმნება სამოქმედო გეგმა, პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრისთვის.

კევინ მაკლოკლინი, იუსაიდის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი:

-ჩვენ შევხვდით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელ პირებს, იმისთვის, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტს მხარი დაუჭიროთ დეცენტრალიზაციის რეფორმის პროცესის განხორციელებაში და მოქალაქეებზე ორიენტირებულ და მორგებულ პროგრამაში.

ავსტრიის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის ვიზიტი ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზაძემ მიხვალა, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო



და სრულუფლებიანი ელჩს, თომას მულმანს და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს, კახაბერ კობერიძეს უმასპინძლა. ვიზიტის ფარგლებში, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, წმ.იოანე ბოლნელის სახელობის სკოლაში,

ავსტრიის საელჩოსა და CENN-ის მიერ, 2021 წელს განხორციელებული ვიზუალური ნამუშევრების სასკოლო კონკურსის “ბუნების სტუმარი“-ს ერთ-ერთი გამარჯვებულის, ელენე ჟღენტის შემოქმედება ადგილზე დაათვალიერეს და სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, ავტორისგან მცირე პრეზენტაციაც მოისმინეს.

სტუმრებმა, ვიზიტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერეს, მონასტრის მარნის ღვინო დააგემოვნეს და ბოლნელი მთავარეპისკოპოსისგან ტაძრის დაარსების ისტორია მოისმინეს.

დღის ბოლოს კი, ბოლნისის მუზეუმში მოეწყო მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ქალის, ერთ-ერთი პირველი ავსტრიელი პაციფისტის ბერტა ფონ ზუტენერის მოღვაწეობის ამსახველი ილუსტრაციის გამოფენის გახსნის ცერემონია, რომელსაც მოწვეულ სტუმრებთან ერთად, კულტურის ცენტრის სამსახურის თანამშრომლები და სხვადასხვა სკოლის პედაგოგები ესწრებოდნენ.

დავით შერაზაძემ მიხვალა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს თომას მულმანს ვუმასპინძლეთ. ელჩმა ბოლნისის ახალი მუზეუმში მშვიდობის დარგში

